საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კოლეგიის თავმჯდომარე - კონსტანტინე გელაშვილი

კოლეგიის წევრი - ანა ხურციძე

კოლეგიის წევრი - ანა ლორია

საჩივრის ავტორი: მ. ც.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 17.04.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 042/18

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი: ადვოკატი ნ. ძ. /სიითი№/ სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. ძ.-ისათვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით, შემდგომში „დებულება“ გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 17 აპრილს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. ც.-მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. ძ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება და ჰონორარის სახით გადახდილი თანხის - 800 ლარის უკან დაბრუნება.

1.2 2013 წლის 17 აპრილს საჩივრის ავტორმა გააფორმა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება შპს „ი-კონსულტანტთან“, რომლის დირექტორია ადვოკატი ნ. ძ.. ხელშეკრულების თანახმად, შპს „ი.----“

უნდა დაეცვა საჩივრის ავტორის ინტერესები თბილისის საქალაქო სასამართლოში. საჩივრის ავტორმა მომსახურების სანაცვლოდ, კომპანია „ი.----“ ანგარიშზე გადარიცხა 1650 ლარი.

1.3 მ. ც.-ის საქმესთან დაკავშირებით, ზემოაღნიშნული კომპანიის მიერ სამოქალაქო სარჩელის მომზადების შემდგომ, შპს „ი.----“ ადვოკატს - მარიტა ჩხიკვაძეს დაევალა სასამართლოში მ. ც.-ის ინტერესების წარმოდგენა, თუმცა ადვოკატი მარიტა ჩხიკვაძე არ ცხადდებოდა კომპანიაში, რის გამოც ადვოკატმა ნ. ძ.-მ მარიტა ჩხიკვაძე ჩაანაცვლა სხვა ადვოკატით (საჩივრის ავტორის განმარტებით ვინმე გიორგით, გვარი არ ახსოვს), რომელმაც საჩივრის ავტორს განუმარტა, რომ ვინც სარჩელი მოამზადა, ის უნდა ყოფილიყო მისი წარმომადგენელი სასამართლოში.

1.4 მ. ც.-ის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ კომპანია „ი.----“ ვერ უზრუნველყო მისთვის ადვოკატის მეშვეობით იურიდიული მომსახურების განხორციელება, ადვოკატი ნ. ძ. მაინც ითხოვდა საჩივრის ავტორისგან დამატებით 500 ლარის გადახდას, რის გამოც საჩივრის ავტორმა მოითხოვა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების მოშლა და მიმართა სასამართლოს სარჩელით კომპანია „ი.----“ წინააღმდეგ.

1.5 მ. ც.-სა და ადვოკატ ნ. ძ.-ის კომპანიას („ი.----“) შორის სასამართლოში გაფორმდა მორიგების აქტი, რის მიხედვითაც, „ი.----“ დაეკისრა 800 ლარის გადახდა საჩივრის ავტორის სასარგებლოდ.

1.6 2018 წლის 27 ივლისს მ. ც.-მ ეთიკის კომისიას წარუდგინა წერილობითი განმარტება, სადაც მიუთითა, რომ არ ჰქონდა საბანკო ანგარიში და ადვოკატ ნ. ძ.-ს შეეძლო მორიგების აქტით გათვალისწინებული თანხა გადაეცა ხელზე, ან დაებრუნებინა მისი მინდობილი პირის - ელდარ გეწაძის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის მეშვეობით. საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ელდარ გეწაძის სახელზე გაცემული მინდობილობა და მისი საბანკო რეკვიზიტები, თუმცა ადვოკატ ნ. ძ.-ს მისთვის თანხა არ გადაუცია.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატ ნ. ძ.-ის განცხადებით, 2013 წელს მ. ც.-მ, მას, როგორც შპს „ი.----“ დირექტორს, მიმართა იურიდიული მომსახურების მიღების მიზნით.

2.2 მ. ც.-სა და შპს „ი.----“ შორის გაფორმდა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება. მ. ც.-სათვის საადვოკატო მომსახურება უნდა გაეწია შპს „ი.----“ მიერ განსაზღვრულ ადვოკატს - მარიტა ჩხიკვაძეს, რაც წინასწარ ცნობილი და შეთანხმებული იყო მ. ც.-სთან. მოგვიანებით, მ. ც.-მ შპს „ი.----“ წინააღმდეგ სამოქალაქო სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა მათ შორის დადებული იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების გაუქმება. ადვოკატის განმარტებით, სასამართლო სხდომაზე მასსა და მ. ც.-ს შორის გაფორმდა მორიგების აქტი, რომლის თანახმად, შპს „ი.----“ უნდა დაებრუნებინა საჩივრის ავტორისათვის 800 ლარი.

2.3 ადვოკატის განცხადებით, ის მზად იყო მ. ც.-ის ანგარიშზე ჩაერიცხა მორიგების შესაბამისად გათვალისწინებული თანხა, თუმცა საჩივრის ავტორმა უპასუხა, რომ იგი იყო სოციალურად დაუცველი და მის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის შემთხვევაში შეექმნებოდა გარკვეული პრობლემები, რის გამოც მოითხოვა, რომ ნაღდი ანგარიშსწორების სახით დაებრუნებინა ადვოკატს მისთვის თანხა. ადვოკატმა ნ. ძ.-მ მ. ც.-ს შესთავაზა, რომ გადასცემდა თანხას ნაღდი ანგარიშსწორების სახით იმ

პირობით, თუ ნოტარიულად გააფორმებდნენ მოცემულ პროცედურას, რაზედაც საჩივრის ავტორმა ასევე უარი განუცხადა იმ მიზეზით, რომ დაკავებული იყო და დრო არ ჰქონდა ნოტარიუსთან მისასვლელად.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მ. ც.-მ შესთავაზა, რომ თანხა ჩაერიცხა მისი ნათესავის საბანკო ანგარიშზე, რაზეც ადვოკატმა უარი განუცხადა, რის შემდეგაც მ. ც.-მ საჩივრით მიმართა ეთიკის კომისიას მის წინააღმდეგ.

2.5 ადვოკატმა ნ. ძ.-მ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ ის, როგორც შპს „ი.----" დირექტორი, თანახმაა საჩივრის ავტორს დაუბრუნოს მორიგების აქტით გათვალისწინებული თანხა - 800 ლარი მის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ნ. ძ. არის ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრი /სიითი№/ სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი. ადვოკატის ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან".

3.2 საჩივრის ავტორმა მ. ც.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 17 აპრილს.

3.3 სადავო ქმედება ხორციელდება 2013 წლის აპრილიდან დღემდე. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დისციპლინური საქმის წარმოება, მხარეთა შუამდგომლობების საფუძველზე იყო შეჩერებული, არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4 შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიის განმარტებით, ადვოკატ ნ. ძ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა დებულების 30.2 მუხლის საფუძველზე.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ნ. ძ.-მ, როგორც შპს „ი.----" დირექტორმა არ დაუბრუნა საჩივრის ავტორს მისი საადვოკატო კომპანიის მიერ გამოუმუშავებელი ჰონორარი - 800 ლარი.

5.2 საპროცესო კოლეგიის მიერ ადვოკატის მიმართ არ დაიწყება დისციპლინური დევნა, თუ საქმეში არსებული გარემოებების დადასტურების შემთხვევაშიც, ადვოკატის ქმედება არ ჩაითვლება დისციპლინურ გადაცდომად (დებულება, მუხლი 30.2)

5.3 ეთიკის კომისია ზემოაღნიშნული მარეგულირებელი წესების გათვალისწინებით აფასებს ადვოკატის მიერ თავისი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე განხორციელებულ ქცევას. მოცემულ შემთხვევაში, ირკვევა, რომ მ. ც.-ს საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით მიმართა არა უშუალოდ ადვოკატ ნ. ძ.-ს, არამედ მის საადვოკატო კომპანიას (იხ. პუნქტი:1.2-1.3). 2013 წლის 17

აპრილს შპს „ი.----“ (წარმომადგენელი - ადვოკატი ნ. ძ.) და მ. ც.-ს შორის გაფორმდა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება, რის საფუძველზეც მ. ც.-ის საქმის წარმოება დაევალა კომპანიის თანამშრომელს - ადვოკატ მარიტა ჩხიკვაძეს, რის შესახებაც ინფორმირებული იყო საჩივრის ავტორი. ადვოკატი ნ. ძ. არ იყო ჩართული მ. ც.-ის საქმისწარმოებაში და მათ შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა არ წარმოშობილა.

5.4 მოცემულ შემთხვევაში, ირკვევა, რომ მ. ც. არ იყო კმაყოფილი ადვოკატ ნ. ძ.-ის საადვოკატო ფირმის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურებით, რის გამოც მან შეწყვიტა მათთან გაფორმებული ხელშეკრულება და მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს შპს „ი.----“ მიერ გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების მოთხოვნით. სასამართლოში საქმისწარმოება დასრულდა მხარეთა შორის მორიგების აქტის გაფორმებით, რომლის მიხედვითაც, შპს „ი.----“, როგორც მოვალემ აიღო ვალდებულება კრედიტორს - მ. ც.-ს გადაუხადოს 800 ლარი, მორიგებით გათვალისწინებული გრაფიკით (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 20 დეკემბრის განჩინება).

5.5 მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის პრეტენზია ეხება, არა როგორც ნ. ძ.-ის მიერ საადვოკატო საქმიანობიდან გამომდინარე სავარაუდო ეთიკური ვალდებულებების დარღვევას, არამედ ნ. ძ.-ის, როგორც შპს „ი.----“ დირექტორის მიმართ არსებულ პრეტენზიებს, კომპანიის მიერ შეუსრულებელი ვალდებულებიდან გამომდინარე, რასაც ასევე ადასტურებს ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი 2017 წლის 27 იანვრის თბილისის საქალაქო სასამართლოს სააღსრულებო ფურცელი.

5.6 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ იურიდიული პირი, მოცემულ შემთხვევაში შპს „ი.----“, არ შეიძლება ჩაითვალოს მოპასუხედ დისციპლინურ წარმოებაში. ეთიკის კომისია უფლებამოსილია შეაფასოს კონკრეტული ადვოკატის, და არა რომელიმე იურიდიული ფირმის ქმედებების შესაბამისობა ეთიკის ნორმებთან.

5.7 საპროცესო კოლეგიის განმარტებით, ადვოკატი ნ. ძ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან იგი არ უწევდა სამართლებრივ მომსახურებას მ. ც.-ს და შესაბამისად, არ წარმოშობია გამოუმუშავებელი ჰონორარის უკან დაბრუნების ეთიკური ვალდებულება კლიენტის მიმართ. ამ კუთხით პრეტენზიის დაყენება საჩივრის ავტორს შეუძლია იმ ადვოკატის მიმართ, რომელიც უშუალოდ უწევდა მ. ც.-ს იურიდიულ მომსახურებას. საპროცესო კოლეგიის შეფასებით, ადვოკატი ნ. ძ. არასათანადო მოპასუხეა აღნიშნულ დისციპლინურ საქმეში. ადვოკატ ნ. ძ.-ის მხრიდან არ ჰქონია ადგილი ეთიკური ნორმების დარღვევას, რის საფუძველზეც მის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა.

5.8 საჩივრის ავტორის მეორე მოთხოვნა ეხება ადვოკატ ნ. ძ.-ისათვის გამოუმუშავებელი ჰონორარის - 800 ლარის უკან დაბრუნებას. საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ დებულების ნორმების თანახმად, ეთიკის კომისია მოკლებულია შესაძლებლობას ადვოკატს დააკისროს თანხის დაბრუნება. ეთიკის კომისიის კომპეტენციას განეკუთვნება ადვოკატის დისციპლინირება. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ ეთიკის კომისია დაადგენს, რომ ადვოკატმა, ურთიერთობის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, არ დაუბრუნა კლიენტს გამოუმუშავებელი ჰონორარის პროპორციული ოდენობა, ამ საფუძვლით მოახდენს ადვოკატის დისციპლინირებას; თუმცა, თანხის გადახდის დაკისრება სცილდება ეთიკის კომისიის კომპეტენციის ფარგლებს. ადვოკატისათვის თანხის დაკისრების მოთხოვნა განეკუთვნება

სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე დავას, რასთან დაკავშირებითაც საჩივრის ავტორს შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

5.9 კოლეგიამ იხელმძღვანელა დებულების 30.2 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №042/18 ადვოკატ ნ. ძ.-ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/

კოლეგიის წევრი: /ანა ლორია/